ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-15. 15241522**

თარიღი:**31/05/2024**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 285-ე პუნქტი:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართი (კვ. მ.)	შენობის ფართი (კვ. მ.)
285	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №83ბ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.29.194	354	—

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 285-ე პუნქტი:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/ პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
285	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №83ბ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.29.194	354	—	220 500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე

გ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო მოძრავი ობიექტების ნუსხის (დანართი 4) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	მოძრავი ობიექტის დასახელება	მაიდენტიფიცირებელი/მახასიათებელი ნიშანი	ექსპლუატაციის ვადა	ზომის ერთეული	რაოდენობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/ პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
2	ატრაქციონი მატარებელი ,,რიო ბრაო"	მეორადი	_	კომპლექტი	1	15 200	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი